ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური წარმოების შეწყვეტის თაობაზე

პირველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

გია ტაბლიაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე

ანა ხურციძე – კოლეგიის წევრი

ანა ლორია – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი – ლ. ჯ., სიითი N.....

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 24.04.2018

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 048/18

ადვოკატი, რომლის მიმართაც არის საჩივარი შემოტანილი – გ. ა. /სიითი №...../

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ გ. ა.-ისათვის ,,დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2018 წლის 24 აპრილს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ლ. ჯ.-მ და მოითხოვა ადვოკატ გ. ა.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატი გ. ა. წარმოადგენს მის პროცესუალურ მოწინააღმდეგეს თბილისის საქალაქო სასამართლოში წარმოებულ ერთ-ერთ საქმეში. ადვოკატი გ. ა. შეეცადა სასამართლოს შეცდომაში შეყვანას მისი 2016 წლის 20 ივნისის განცხადებით, სადაც იგი ითხოვდა სასამართლოსგან სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, ყადაღის დადებას საჩივრის ავტორის კლიენტის ქონებისათვის იმ საფუძვლით, რომ 2013 წელს ადვოკატმა გ. ა.-მ ლ. ჯ.-ის კლიენტს ასესხა ფული, ხოლო მას ვალი არ დაუბრუნებია.

1.3 საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ ადვოკატ გ. ა.-ის განცხადება აგებულია სიცრუეზე. ლ. ჯ.-ის კლიენტს ადვოკატის ვალი არასდროს ჰქონია და ადვოკატი ცდილობს საკუთარი

ინტერესების მიღწევას მოტყუებით. გარდა ამისა, საჩივრის ავტორის შეფასებით, ადვოკატ გ. ა.-ის ცრუ განცხადებამ ლ. ჯ.-ის კლიენტის მიაყენა შეურაცხყოფა.

1.4 საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ ადვოკატ გ. ა.-ის მიერ წერილობითი ფორმით წარმოდგენილი და ზეპირსიტყვიერად სხდომაზე გაჟღერებული ეპითეტები და გამოთქმები, რაც არღვევს ეთიკის ნორმებს, მისთვის შეურაცხმყოფელია.

2. ადვოკატის პოზიცია:

ადვოკატ გ. ა.-ის 2018 წლის 11 მაისის სატელეფონო ახსნა-განმარტების თანახმად, მას შეხება არ ჰქონია განცხადებაში აღნიშულ სამოქალაქო საქმესთან. ადვოკატი აღნიშნავს, რომ იგი რეგისტრირებულია ქედაში და თბილისში სამოქალაქო საქმეებს არ აწარმოებს.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატმა ლ. ჯ.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2018 წლის 24 აპრილს.

3.2 სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" ადვოკატთა ერთიანი სიის მონაცემების თანახმად, გ. ა. (პ/ნ ....., სიითი N...) ირიცხება სსიპ "საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" წევრად ერთიან სიაში. საქმის დანართის შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ საჩივრის ავტორის მიერ განცხადებაში მითითებული ადრესატი, გ. ა. (პ/ნ .....) ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" ადვოკატთა ერთიანი სიის მონაცემების თანახმად, არ ირიცხება სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" წევრად ერთიან სიაში.

4. შემაჯამებელი დასკვნა

ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ გ. ა.-ის მიმართ ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების მე-9 მუხლის 1-ლი მუხლის ,,ა" ქვეპუნქტის თანახმად უნდა შეწყდეს დისციპლინური წარმოება.

5. სამართლებრივი შეფასება

5.1 ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, "ეთიკის კომისიის აპარატი ვალდებულია რეგისტრაციაში გაატაროს საჩივარი მიღების დღესვე თუ საჩივარი აკმაყოფილებს დებულების მე-7 მუხლის მოთხოვნებს და მიუთითებს მასზე რეგისტრაციის თარიღი და ნომერი." ამავე დებულების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის "გ" ქვეპუნქტის თანახმად, ,,საჩივარი უნდა შეიცავდეს იმ ადვოკატის ვინაობას, რომლის წინააღმდეგაც არის საჩივარი წარმოდგენილი."

5.2 საჩივრის შემოტანისას საჩივარი დარეგისტრირდა ადვოკატ გ. ა.-ის სახელზე, ვინაიდან სსიპ "საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" ადვოკატთა ერთიან სიაში ადვოკატად ირიცხებოდა საჩივარში მოხსენიებული პირი, გ. ა.. დისციპლინური წარმოებისას პროცესში, კერძოდ საჩივრის შესახებ ადვოკატის ინფორმირებისას აღმოჩნდა, რომ ვის სახელზეც დარეგისტრირდა საჩივარი, ირიცხება სსიპ "საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" წევრად, ადვოკატად, ერთიან სიაში (პ/ნ ....., სიითი N.....), თუმცა არ წარმოადგენს საჩივრის ადრესატს. ამავე დროს, საჩივრის ადრესატი, გ. ა. (პ/ნ .....) არ ირიცხება სსიპ "საქართველოს

ადვოკატთა ასოციაციის” წევრად. შესაბამისად საჩივარი მიმართულია არაადვოკატი პირის, გ. ა.-ის მიმართ (პ/ნ .....).

5.3 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-11 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად ”ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მოქმედება ვრცელდება ადვოკატებზე.” ”ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ”ადვოკატი არის თავისუფალი პროფესიის პირი, რომელიც ემორჩილება მხოლოდ კანონსა და პროფესიული ეთიკის ნორმებს და გაწევრიანებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში.” სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის” ადვოკატთა ერთიანი სიის მონაცემების თანახმად, გ. ა. (პ/ნ .....) არ წარმოადგენს სსიპ ”საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის” წევრს, შესაბამისად, ეთიკის კომისია არ არის უფლებამოსილი განიხილოს გ. ა.-ის (პ/ნ .....) მიერ ადვოკატთა ეთიკის კოდექსითა და ”ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონით განსაზღვრულ ნორმათა სავარაუდო დარღვევის საკითხი, ვინაიდან მასზე არ ვრცელდება ”ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონითა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილი პროფესიული სტანდარტები.

5.4 ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-9 მუხლის 1-ლი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ,,ეთიკის კომისიის მიერ საჩივარზე წარმოება წყდება და საჩივარი არსებითად არ განიხილება, თუ საჩივრის განხილვა არ შედის ეთიკის კომისიის კომპეტენციაში.” საპროცესო კოლეგია ხელმძღვანელობს ზემოხსენებული დებულების მე-9 მუხლის ”ა” ქვეპუნქტით და ადვოკატ გ. ა.-ის /N5722/ მიმართ წყვეტს დისციპლინურ წარმოებას.

III სარეზოლუციო ნაწილი

საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტით; ადვოკატთა ეთიკის კოდექსის მე-11 მუხლის პირველი ნაწილით; ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“დებულების მე-4 მუხლის მე-5-6 პუნქტებით, მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის ”გ” ქვეპუნქტით, მე-8 მუხლის პირველი პუნქტით, მე-9 მუხლის ”ა” ქვეპუნქტით, მე-19-მე-20 მუხლებით, 31 მუხლით, მე-40 მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე N048/18 შეწყდეს დისციპლინური წარმოება ადვოკატ გ. ა.-ის /სიითი N...../ მიმართ.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /გია ტაბლიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ანა ხურციძე/

კოლეგიის წევრი: /ანა ლორია/